გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 59

2025 წლის 11 აპრილი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 10 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს

2024 წლის 01 ოქტომბრიდან 2025 წლის 21 მარტის ჩათვლით არსებული პერიოდის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

შესავალი.....3

1.1.ბიუჯეტი.....4-5

1.2.სახელმწიფო შესყიდვები.....5-6

1.3.სამართლებრივი საქმიანობა.....6

1.4.საქმისწარმოება.....6

1.5.რეაბილიტირებული და ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები.....6-7

1.6. გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგი 7

1.7.მეთოდური საქმიანობა.....7-8-9

1.8.მატერიალური უზრუნველყოფა.....9-10

1.9.დასკვნა 10

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2024 წლის 01 ოქტომბრიდან 2025 წლის 21 მარტის ჩათვლით არსებული პერიოდის საქმიანობის ანგარიშს.

ამ ეტაპზე გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 64 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებეულება, საიდანაც 45 დაწესებულება მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ხოლო 19 ქალაქ გორში.

გარდა ამისა, გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ბოშურის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ ადმინისტრაციულად გაერთიანებულია ატენის საბავშვო ბაგა-ბაღთან. ასევე სოფელ დიცში და ქალაქ გორში N14 სკოლამდელ დაწესებულებაში ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ცენტრი, რომელიც ახორციელებენ სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას აღსაზრდელებისათვის.

1.1. ბიუჯეტი

1.1.1. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დაზუსტებული ბიუჯეტი 2024 წელს შეადგენს 15 440 000 ლარს. რომელიც განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) – 7 900 000 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება – 2 100 000 ლარი;
3. დანამატი – 92 300 ლარი (ბაგა–ბაღში დროებით მოვალეობის შემსრულებლებზე გაცემული სახელფასო დანამატი);
4. პრემია - 585 000 ლარი;
5. მივლინების ხარჯი – 7 000 ლარი;
6. ოფისის ხარჯი – 1 816 800 ლარი;
7. კვების ხარჯი – 2 080 000 ლარი;
8. სამედიცინო ხარჯი –20 000 ლარი;
9. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი – 396 000 ლარი;
10. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი – 220 900 ლარი;
11. სოციალური უზრუნველყოფა –170 000 ლარი;
12. სხვა ხარჯები – 22 000 ლარი;
13. არაფინანსური აქტივების ზრდა – 30 000 ლარი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ბიუჯეტის ხარჯვამ 2024 წელს სულ შეადგინა 15 159 473,29 ლარი. მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) – 7 871 747,06 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება – 2 084 578,04 ლარი;
3. დანამატი – 92 035,45 ლარი;
4. პრემია - 584 203,30 ლარი;
5. მივლინების ხარჯი – 6 757,08 ლარი;
6. ოფისის ხარჯი – 1 730 479,06 ლარი;
7. კვების ხარჯი – 1 959 110,48 ლარი;
8. ტრანსპორტის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი – 388 594,22 ლარი;
9. სამედიცინო ხარჯი – 11 795,2 ლარი;
10. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი – 220 750,00 ლარი;
11. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი – 167 951,10 ლარი;
12. სხვა ხარჯები – 19 554,30 ლარი;
13. არაფინანსური აქტივების ზრდა – 21 918,00 ლარი.

1.1.2. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დამტკიცებული ბიუჯეტი 2025 წელს შეადგენს 16 045 000 ლარს. რომელიც განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) – 10 558 422 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება – 2 858 091 ლარი;
3. დანამატი – 70 000 ლარი (ბაგა–ბაღში დროებით მოვალეობის შემსრულებლებზე გაცემული სახელფასო დანამატი);
4. მივლინების ხარჯი – 4 000 ლარი;
5. ოფისის ხარჯი – 1 274 600 ლარი;
6. კვების ხარჯი – 484 807 ლარი;
7. სამედიცინო ხარჯი –20 000 ლარი;
8. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი – 443 000 ლარი;
9. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი – 92 080 ლარი;
10. სოციალური უზრუნველყოფა –130 000 ლარი;
11. სხვა ხარჯები – 10 000 ლარი;
12. არაფინანსური აქტივების ზრდა – 100 000 ლარი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ბიუჯეტის ხარჯვამ 2025 წლის იანვრიდან 1 მარტამდე ჩათვლით სულ შეადგინა 3 168 986,70 ლარი. მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) – 1 676 611.99 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება – 433 108,62 ლარი;
3. დანამატი – 31 310,44 ლარი;
4. მივლინების ხარჯი – 360 ლარი;
5. ოფისის ხარჯი – 711 125,93 ლარი;
6. კვების ხარჯი – 190 245,63 ლარი;
7. ტრანსპორტის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი – 35 221,31 ლარი;
8. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი – 17 902,54 ლარი;
9. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი – 70 078,52 ლარი;
10. სხვა ხარჯები – 3 021,72 ლარი;

1.2. სახელმწიფო შესყიდვები

1.2.1 საანგარიშო პერიოდში, 2024 წლის ოქტომბრიდან დღემდე საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 1.870.653 ლარი. სააგენტომ ბაგა-ბაღებისთვის სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძინა მაღალი ხარისხის ჰიგიენის საშუალებები, აგრეთვე სარეცხი და საპრიალებელი პროდუქცია 141.794 ლარის ოდენობის. აღსაზრდელთა ტრანსპორტის მომსახურებაში გაიხარჯა 263.340 ლარი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სააგენტომ ბაღისთვის შეიძინა 98.490 ლარის სათამაშოები, რომელიც არის მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად სუფთა. ასევე გაკეთდა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის ჰასპის სისტემის მართვის და მონიტორინგის დანერგვის მექანიზმები საბავშო ბაღებისთვის კვების ბლოკში,

ხელშეკრულების ღირებულება 19.941ლარი. სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის მოხდა საოჯახო ტექნიკის შესყიდვა, კერძოდ თერმექსები 15.555 ლარი. სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის მოხდა ბრიკეტის და შეშის ღუმელის შესყიდვა 21.600 ლარი, ასევე სადენზიფექსაციო აბების შესყიდვა 7.560 ლარი. შეძენილ იქნა სამზარეულოს აღჭურვილობა (თეფშები, დანები, სინები, კოვზები, ჯამები, ქვაბები) ასევე ბაღები აღიჭურვა საკანცელარიო ნივთებით, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 93.865 ლარი. 2025 წლისთვის მოხდა საწვავი ბენზინის შესყიდვა, რომლის საორიენტაციო ღირებულებაა 25.164 ლარი, ასევე მოხდა საწვავი დიზელის შეძენა 8.964 ლარი.
1.2.2. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელებული 45 შესყიდვა, შესყიდვების ღირებულებამ ლარში შეადგინა 68.644 ლარი,ხოლო ელექტრონული ტენდერის ფარგლებში (აუქციონის გარეშე) 2.725.043 ლარი. სააგენტოს მიერ გაფორმდა 47 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, საერთო ჯამში 119.750 ლარი.

1.3. სამართლებრივი საქმიანობა

მოხდა, ალტერნატიული ფართების ქირავნობის ხელშეკრულებების გაგრძელება სოფელ ზერტის, ქალაქ გორის N1, N2, და N7 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ფუქნციონირების მიზნით, ასევე მოხდა N18 ბაღის იჯარის ხელშეკრულება გადაგრძელდა ელექტონული აუქციონის გამართვის შემდეგ.
2025 წლის იანვრის თვიდან განხორციელდა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურების 10%+125 (ას ოცდახუთი) ლარით ზრდა, ხოლო სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ადმინისტრაციაში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურების 10%-ით ზრდა.
2025 წლის თებერვლის თვიდან სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ადმინისტრაციაში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურება გაიზარდა 125 (ას ოცდახუთი) ლარით.

1.4. საქმისწარმოება

სააგენტო უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად დაკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული 3 განცხადება. საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული არც ერთი განცხადება არ გასაჩივრებულა. სააგენტო მომავალშიც მზადაა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის შეუფერხებელი გაცემა.

გარდა ამისა აღსანიშნავია, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში სანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულია 3452 განცხადება თუ სხვადასხვა სახის კორესპონდენცია, ხოლო გასული წერილების რაოდენობა შეადგენს 126–ს.

1.5. რეაბილიტირებული და ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები

2024 წლის ბოლოს დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარიანისა და სოფ. ფლავის საბავშვო ბაღების მშენებლობა. (აღნიშნული საბავშვო ბაღები უმოკლეს ვადაში აღიჭურვება

ავეჯითა და ყველა საჭირო ინვენტარით, რაც საჭიროა საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის).
მიმდინარეობს და უმოკლეს ვადაში დასრულდება სოფ. ზერტში და სოფ. შავშვებში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.
იგეგმება სოფ. შინდისის და სოფ. ტირძნისის საჯარო დაწესებულებების რეაბილიტაცია. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო იხდის 5 (ხუთი) სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების (სოფ. ზერტი, ქ. გორის N1, N2, N7 და N18 დაწესებულებები) ქირის გადასახადს, რომელიც ფუნქციონირებს ალტერნატიულ ფართში.

1.6. გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილია საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ფუნქციები შეადგენდა საბავშვო ბაგა–ბაღების კონტროლს ყველა მიმართულებით.
საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი განხორციელდა ყველა საბავშვო ბაგა–ბაღში, შემოწმდა, თუ როგორ მზადდება ბავშვებისათვის განკუთვნილი საკვები, პროდუქტების ვადები, საკვების ხარისხი, ბავშვებისათვის განკუთვნილი საკვების დღიური ნორმა. გაკონტროლდა სამზარეულოს სისუფთავის ხარისხი და ინვენტარის დამუშავების მეთოდები (კვების ბლოკის დეზინფექციის საშუალებებით დამუშავება), არიან თუ არა თანამშრომლები შემოსილი სპეციალიური სამოსით და ხდება თუ არა საკვების განაწილება სპეციალური სამედიცინო ხელთათმანებით.
ასევე შემოწმდა რამდენად იცავენ ბაღის თანამშრომლები დაწესებულ ჰიგიენურ ნორმებსა და ითვალისწინებენ აღმზრდელობითი და მეთოდური მიმართულებით გაცემულ რეკომენდაციებს.

1.7. მეთოდური საქმიანობა

საბავშვო ბაღების მუშაობა როგორც სააღმზრდელო ასევე საგანმანათლებლოა.
სააგენტოს მეთოდისტები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ საბავშვო ბაღების აღმზრდელებთან. თითოეული მათგანი აქტიურად მუშაობს და მონაწილეობას იღებს სააღმზრდელო პროცესში, ჯგუფების და ეზოს სივრცის მოწყობაში ცენტრების მიხედვით, ასევე სააღმზრდელო გეგმების შედგენაში. სასწავლო სააღმზრდელო პროცესი არის ინკლუზიური.
აღსაზრდელებთან მუშაობენ ფსიქოლოგები, სპეც მასწავლებლები და ინდივიდუალური ასისტენტები, მათი მუშაობა არის ყოველდღიური და ისინი ზრუნავენ ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ განვითარებაზე.
მეთოდისტთა ინიციატივით, გრძელდება გორის და გორის რაიონის საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო ხასიათის აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს საბავშვო ბაღების აღმზრდელებს შორის ცოდნის და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის დანერგვას. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში აღმზრდელ-პედაგოგებს საშუალება ეძლევათ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, რომელიც მოიცავს თანამედროვე სტანდარტებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მიერ, კურიკულუმის დანერგვის ფარგლებში სამიზნე მუნიციპალიტეტად შერჩეული იქნა გორი, აღნიშნულის ფარგლებში გაგრძელდა ადმინისტრაციისთვის და პრაქტიკოსებისთვის სერტიფიცირებული ტრენინგები.
ოქტომბრის თვეში ჩატარდა ტრენინგი : „ინკლუზიური განათლება“
საანგარიშო პერიოდში სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს წარმომადგენლები, აღმზრდელები, ასისტენტები და მშობლები დაესწრნენ ტრენინგს - ,,ინკლუზიური განათლება და შეფასების ინსტრუმენტები" - შეხვედრა „საზოგადოება ბილიკის“ პროექტის "ინკლუზიური განათლება გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში" ფარგლებში გაიმართა.
2024 წლის 01-02 ოქტომბერს ჩატარდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ავტორიზაციის სიმულაციური პროცესის დასკვნითი ღონისძიება, რომელშიც San Diego State University- სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტები, პროფესორები ნენესი ფრაი და ჯეიმს მარშალი მონაწილეობდნენ. ორდღიანი ღონისძიება გაიმართა I2Q პროექტის ჩართულობითა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით.
2024 წლის ოქტომბრის თვეში მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის ფარგლებში დიცის სკოლის ბაზაზე გაიხსნა საპილოტე სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფი, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 20 დეკემბერს მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისიდან პროფესორი შირო ნაკატა და საქართველოს ოფისიდან ქ-ნი ანა ბერძენაძე ეწივნენ სოფელ დიცში სასკოლო მზაობის ჯგუფს.
2024 წლის ნოემბერი-დეკემბრის თვეში პოლონური ორგანიზაცია ფონდი Human Doc -ის პროექტი „საქართველოში სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის მხარდამჭერი სისტემის გაძლიერება ძალადობის წინააღმდეგ საკითხებში“- თემაზე: ბავშვთა მიმართ ძალადობა, სამართლებრივი საკითხები და ფსიქოლოგიური ასპექტები; ძალადობის გამოვლენა- აღნიშნულ სასწავლო პროგრამაში ჩართულნი იყვნენ გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სპეციალისტები.
2025 წლის 4 თებერვალს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა რიგით მეორე შემაჯამებელი კონფერენცია გამართა. კონფერენციაზე ჩატარებულ პანელურ დისკუსიებში გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ხელმძღვანელი, თანამშრომლები, საბავშვო ბაღების მენეჯერები, ტრენერები და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. აღნიშნულ კონფერენციის თემატიკაში აქტიურად მონაწილოებდა გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო - კონფერენციის მონაწილეებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა განიხილეს ის შედეგები, რომლებიც ამ დროისათვის მიღწეულია იმ მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორებიცაა საბავშვო ბაღების ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება-გადამზადება და აღმზრდელ-პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემა; საგანმანათლებლო პერსონალის ანაზღაურების სისტემა; ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დანერგვის ხელშეწყობა; სასკოლო მზაობის პროგრამა; მონაცემთა ანგარიშგების სისტემა და შემუშავებული პროფესიული განვითარების მოდულების ბილინგვურ გარემოში ჩატარების საკითხები.

2025 წლის 19 მარტს -ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების გაუმჯობესების მიზნით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონსულტაციო კვლევითი ფონდის (SDSURF) ექსპერტები გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პერსონალს შეხვდნენ- ტრენინგების ციკლი, რომელიც I2Q პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ჩატარდა მიზნად საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებას ისახავდა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტები მენტორინგის ვიზიტების გაუმჯობესებულ ციკლს განმეორებით ატარებენ გორის მუნიციპალიტეტში 20 მარტიდან 30 მაისი ჩათვლით.

1.8. მატერიალური უზრუნველყოფა

2024 წლის ოქტომბრის თვიდან და ამჟამადაც, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ, გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებს მიეწოდებათ საკანცელარიო ნივთები, ქიმია – ჰიგიენური და სამეურნეო საშუალებები. პარალელურად, სისტემატიურად მიმდინარეობს სანტექნიკური და სადურგლო სამუშაოების შესრულება: საბავშვო ბაღებში წყლის მილების, ცივი და ცხელი წყლის ონკანების, ნიჟარის სიფონების, წყლის მოტორების, უნიტაზის ჩამრეცხი მექანიზმების, წყლის ტუმბოს ტვინის გოფრირებული მილების შეცვლა–შეკეთება, ახალი წყლის გამაცხელებლების (თერმექსი) და ნიჟარების დაყენება. აგრეთვე დენის ავტომატების შეცვლა – შეკეთება, გაზის ონკანების დაყენება, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწესრიგება და ქვაბების მომსახურება. შეკეთდა და ამჟამადაც მიმდინარეობს კარადების, სკამების, საწოლების შეკეთება მოთხოვნების მიხედვით, შეკეთდა და ამჟამადაც მიმდინარეობს ხის და მეტალოპლასტმასის კარფანჯრის სახელურების, ანჯამების შეცვლა/შეკეთება. გორის მუნიციპალიტეტის 3 (სამი) სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში (N9, N11, სოფ. ორთაშენი) ჩატარდა მცირე სარემონტო სამუშაოები. მოწესრიგდა ელექტრო სადენები, პლაფონები.

2024 წლის ოქტომბრიდან და ამჟამადაც (წელიწადში ოთხჯერ), ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, ტარდება სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოები. ასევე ბაგა–ბაღებს მიეწოდათ დეზობარიერი, სადეზინფექციო ხსნარი, სადეზინფექციო აბები, პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები.

2024 წლის ნოემბრიდან დღემდე, ის საბავშვო ბაღები, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მარაგდება ბრიკეტით. ასევე განხორციელდა აღნიშნული საბავშვო ბაღების შეშის ღუმელებით უზრუნველყოფა.

საახალწლოდ, გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში (მათი მოთხოვნების შესაბამისად), შევიდა საახალწლო დეკორაციები და ნაძვის ხეები.

2025 წლის იანვრის თვეში, გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში შევიდა საბავშვო სათამაშოები. ასევე საბავშვო ბაღები მომარაგდა საყოფაცხოვრებო ჭურჭლით.
სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნიდან გამომდინარე, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ორგანიზებით, საბავშვო ბაღების თანამშრომლებს (დირექტორი, სამეურნეო დარგის სპეციალისტი ,,მნე'', მზარეული) ჩაუტარდათ "HACCP"-ის ტრენინგი.

1.9. დასკვნა

სააგენტოს მიერ გაწეული მუშაობის შედეგად გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში საგრძნობლად გაუმჯობესებულია ვითარება კვების, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, აღმზრდელობითი საქმიანობის და ინფრასტრუქტურული მდგომარეობის თვალსაზრისით.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გორის მუნიციპალიტეტში არსებულმა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებმა დააკმაყოფილონ კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები.